# ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაში სასამსახურო ხელშეკრულების ფარგლები და მისი რეგულირების საკორპორაციო-სამართლებრივი და შრომით-სამართლებრივი ასპექტები

ოთარ ხუციშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**ოთარ ხუციშვილი _____ 18.06.2018 წ.”.**

# აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხია სასამსახურო ხელშეკრულების სამეწარმეო-სამართლებრივი და შრომით-სამართლებრივი ასპექტები ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაში. ნაშრომი განიხილავს როგორც ქართულ კანონმდებლობას და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ასევე, ეყრდნობა შედარებით სამართლებრივ ანალიზს ევროპული და ამერიკული საუკეთესო პრაქტიკიდან. იგი საინტერესოა მკითხველისთვის, რადგანაც აღწერილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოების ფუნქციები, დირექტორთან დადებული ხელშეკრულების ფორმა, დირექტორის ფიდუციური ვალდებულებები, როგორც სასამსახურო ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტი.

ნაშრომი ასევე შეეხება დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობებს, დირექტორის სოციალურ გარანტიებსა და საგამონაკლისო შემთხვევებს. მათი შრომის სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტას დისკრიმინაციის საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ მეწარმეთა შესახებ კანონში დღეის მდგომარეობით არ არსებობს სასამსახურო ხელშეკრულების ცნება, ნაშრომი განმარტავს, რომ ასეთი ცნების არსის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნორმათა ერთობლივი შეჯერების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დოქტრინალური განმარტებების გაანალიზების საფუძველზე. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობს რეფორმა შრომის სამართალში და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამუშავებს კანონპროექტს, რომელიც საერთოდ ანაცვლებს მეწარმეთა შესახებ კანონის მოქმედ რედაქციას. საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს სასამართლოში სასამსახურო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების რაოდენობა. ნაშრომში კვლევის შედეგად გატარებულია აზრი, რომ გარდა კორპორაციული და ვალდებულებით-სამართლებრივი ასპექტებისა, თავისი ბუნებით სასამსახურო ხელშეკრულება ასევე მოიცავს შრომით-სამართლებრივ ასპექტებსაც.



**ძირითადი საძიებო სიტყვები: სასამსახურო ხელშეკრულება; ღია ტიპის სააქციო საზოგადოება; დირექტორი; სამეთვალყურეო საბჭო; დირექტორატი;**

# Abstract

The subject of study of the present paper is the entrepreneurial and labor legal aspects of the employment contract in the open type joint stock company. The paper reviews both the Georgian legislation and the practice of the Supreme Court of Georgia, as well as it is based on the comparative legal analysis of European and American best practices. It is interesting for the readers, as it describes important issues such as the functions of the management bodies of the joint stock company, the form of contract signed with the director, the director's fiduciary obligations as the component of the contract.

The paper also deals with the possibility of termination of the employment contract with the director, social guarantees of the director and exceptional cases, including the termination of the employment contract on the basis of discrimination. Since the law on Entrepreneurs does not contain the concept of a contractual agreement, the work explains that the essence of such a concept can only be determined by the joint composition of norms, judicial decisions and the analysis of doctrinal explanations. The issue is relevant to the extent of the ongoing reform in labor law; in addition, the Ministry of Justice of Georgia is working on the draft law, which shall replace the current law on Entrepreneurs. The actuality of the issue is demonstrated by the number of disputes relating to the employment contracts in the court. According to the research, apart from corporate and obligatory legal aspects, in its nature the employment contract also includes labor law aspects.



**Key words: employment contract; open type joint stock company; director; Supervisory Board; Directorate.**